საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-638
2025 წლის 11 ივლისი

ქ. თბილისი

„დიპლომატიური რანგის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 19 აპრილის N01-63 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე,
ვბრძანებ:

1. „დიპლომატიური რანგის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 19 აპრილის №01-63 ბრძანების (ვებგვერდი, 22/04/2019, სარეგისტრაციო კოდი: 480040040.22.030.016193) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და წესის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 11

დიპლომატიური რანგის თანმიმდევრული და დროული მინიჭების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის დირექტორატის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.“.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საგარეო საქმეთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ზურაბაშვილი**